საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 21 0000686975

08/07/2021

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

1.3. აკრედიტაციის დებულების 27[5] მე-7[1] პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2020 წლის 29 დეკემბრის №1239567 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №1242690, 30/12/2020), წარმოდგენილ იქნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2 ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 თებერვლის №104379 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 22 მარტის №267396 (ცვლილება N345760, 12/04/20210 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განახორციელა 2021 წლის 19, 20 და 21 აპრილს, ხოლო 2021 წლის 16 ივნისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	•			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	•			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	•			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	•			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	•			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა ***2021 წლის 24 ივნისს.*** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გ *აიზიარა* ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება, თუმცა რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ გადაიტანა რჩევებში.

3. სარეზოლუციო ნაწილი
"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:
1.დაკმაყოფილდეს *სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის* სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს *2021 წლის 8 ივლისის №*686799 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
4.1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
4.2. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება.

რჩევები:

1. ამოღებულ იქნას პროგრამიდან საგნები „სატელეკომუნიკაციო კომპანიათა ეკონომიკური ანალიზის მეთოდები“ და „სატელეკომუნიკაციო კომპანიათა მართვის თავისებურებები“;
2. სასურველია სწავლების მეთოდებისა და განათლების მენეჯმენტის სასწავლო კურსის სილაბუსი გასწორდეს და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის მიზანსა და შინაარსთან;
3. მიღების პირობებში განისაზღვროს სპეციალობის ფართო სფერო, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს აპლიკანტმა განათლების წინა ორი საფეხურიდან ერთ-ერთზე ან დაემატოს მოთხოვნა დარგში პრაქტიკული გამოცდილების შესახებ;
4. შეიცვალოს მოთხოვნა თანაავტორის გარეშე სტატიის გამოქვეყნების შესახებ;
5. მიზანშეწონილია სტუდენტებს საკონსულტაციო განრიგის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოთ არამარტო ფაკულტეტზე არსებული საინფორმაციო დაფების გამოყენებით, არამედ ელექტრონულადაც, კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის ვებ-გვერდზე „სასწავლო ცხრილებში“ (იხ. ბმული: https://gtu.ge/pet/Students/);
6. მიზანშეწონილია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში;
7. მიზანშეწონილია დეტალურად გაიწეროს დისერტაციაზე მუშაობის პროცესში თემის ხელმძღვანელთან ურთიერთობის პროცედურები, მაგალითად კონსულტაციები. ასევე, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ჩამოყალიბდეს ერთიანი მთლიანი მუხლის ფარგლებში;
8. მნიშვნელოვანია სადისერტაციო ნაშრომები გაფორმდეს მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით - იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა და სხვ. აღნიშნულის მიღწევას ხელს შეუწყობს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლება სამეცნიერო ბაზების და ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ;
9. სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაინტერესებულ მხარეებს აცნობოს შესაბამისი გამოკითხვის შედეგები და მიღებული შედეგების გამოყენების გეგმა;
10. სასურველია შეიქმნას როგორც დამსაქმებელთა ისე სტუდენტთა პორტფოლიოების (დამსაქმებელთა მოთხობნების გათვალისწინებით) ერთიანი ბაზა, მათ შორის ორმხრივი და უწყვეტი კავშირის დასამყარებლად. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ინფორმაციის დროულ და სწრაფ მიმოსვლას ორივე მხარეს შორის. შესაძლებელია, დაიგეგმოს შესაბამისი დამხმარე ღონისძიებებიც;
11. გასაძლიერებელია პროგრამის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ინსტიტუციური განვითარების პროექტებში (Erasmus+, Tempus) ჩართულობა და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ხელშეწყობა;
12. სასურველია, მოხდეს სტუდენტების მეტად ინფორმირებულობა გამოკითხვებში მათი მონაწილეობის აუცილებლობაზე და ანონიმურობის დაცვაზე;
13. სასურველია უზრუნველყოფილ იქნას გამოკითხვების შედეგების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის;
14. სასურველია მოხდეს საჭიროებაზე მორგებული კვლევებისა და გამოკითხვების დაგეგმვა-განხორციელება.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 24 ივნისს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ